ცნობის ფურცელი

V Წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1900 შაბათი, 16 დეკემბერი № 1329

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

. რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 37

ტფილისის კერძო

სამკურნალო

მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა. მელინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—2 საათამდე.

ა. ნ. მატილოვი—თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

ვ. ლ. მარკევიჩი—სდოსტაქრო $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1\frac{1}{2}$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი და მიკროსკოპიური გამოკვლევანი 5—6 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (კარანცოვის მეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი

(წლ.) მიხეილ გედევანიშვილი

მარგვეტის მრეწველთა კრების საბჭო

ამით აცხადებს, რომ 20 ამა დეკემბერს, შუადღის 12 საათზე, ქ. ქუთაისში, საბჭოს სადგომში, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლითაც იჯარით გაიცემა ჭიათურაში მდ. ყვირილაზე ხის ხიდის გაკეთების საქმე, 3365 მან. 28 კაპ. ღირებულობისა.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, უნდა წარადგინოს ვაჭრობის დაწყებამდე გირაოდ 10^{0}/$_{0}$ აღნიშნულ ღირებულობისა ნაღდ ფულად, ან მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ სარგებლიან ქაღალდებით. ხარჯთ-აღრიცხვა, გეგმა და პირობები მსურველთ შეუძლიანთ განიხილონ ყოველ-დღე საბჭოს სადგომში. ვაჭრობის შედეგი კრების საბჭომ უნდა დაამტკიცოს.

(ნ. 3—1)

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

13 დეკემბერი.

კაპშტადტი. როგორც ხმა არის, იომანრის ესკადრონი ბურების დევნის დროს ხელში ჩაუვარდათ ჩასაფრებულ ბურებს და დაზარალდა; ესკადრონის დანარჩენი ნაწილი ტყვედ იქმნა წაყვანილი.

შანჰაი. კათოლიკე მღვდლები იწერებიან შენსიდან, რომ ქვრივს დედოფალს იცავს მხოლოდ 3000 კაცი და რომ იმპერატორის სახლობის გულწ-ფელობა საეჭვო არის.

ლონდონი. იტყობინებიან, რომ სამი კვირის განმავლობაში სამხრეთ-აფრიკაში გაიგზავნება მეორე ახალ ზელანდიელი რაზმი, შემდგარი 200 კაცისაგან. რაზმი ნახევრად მაიორებისაგან შესდგება.

შანჰაი. ტაოტაის შენს ებრძანა მონაწილეობა მიიღოს ელჩებთან მოლაპარაკებაში. ის დაუყოვნებლ ვ მიდის პეკინში

პეკინი. ვალდერზეეს თანხმობით გერმანიის ჯარები უმოწყალოდ სჯიდნენ ქალაქებს და სოფლების მცხოვრებთ პაოტინფუდან დაბრუნების დროს; ისინი უყურადღებოდ სტოვებდნენ რიჩარდსონის განკარგულებას.

ისპანიის ელჩი ჰფიქრობს, რომ ჩინეთის მთავრობა დაუყოვნებლივ შეიწყნარებს უცხოელთა მოთხოვნილების უმეტეს ნაწილს. რაც შეეხება წარჩინებულთა დასჯას, ეს ერთი წლის განმავლობაში გასტანს.

კონჯერი აცხადებს, რომ არც ერთი ელჩი ოფიციალურად არ სცნობს ქვრივ დედოფალს მმართველად.

ლიხუნჩანგის აზრით, საერთო ნოტის პასუხი ათ დღეში მოუვათ ელჩებს.

იოჰანესბურგი. კიჩენერმა გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც აცხადებს, «რომ ყველა იმ ბურთა, რომელნიც თავიანთ ნებით დაჰნებდებიან ინგლისელებს, ნება მიეცემათ იცხოვრონ თავიანთ ოჯახებით ინგლისელების ბანაკებში იმ დრომდე, სანამ საქმეთა მდგომარეობა შესაძლებლად ჰყოფს თავიანთ სახლებში დაბრუნებას ყოველი მათი საცხოვრებელი დაცულ იქნება, ხოლო თუ რამე ჯარებს დასჭირდა, იმაში ფასს მიიღებენ.

ბურგერსდორფი. პოლკოვნიკი გერნფელი სდევნის რაზმს, რომელიც 700 კაცისაგან უნდა შესდგებოდეს. გერნფელი დაეწია მტერს, მაგრამ მისი დატყვევება კი არ შაუძლიან. წარსულ ორშაბათს ულანთა მე-9 პოლკს დაუჰრეს და მოუკლეს 8 კაცი. მათ შორის დაჭრილია პორუჩიკი ფრიდერიკ ბლეკსვუდი, მარკიზ დეფერინის შვილი.

კაპის ჰოლანდიელები აღარ უერთდებიან ბურებს

ნიუკასტლი. დღეს გარდაიცვალა ლორდი ამსტრონგი, ცნობილი მესაკუთრე ზარბაზნების ქარხნისა.

კაპშტადტი. ბურების მცირე რაზმმა 11 დეკემბერს იერიში მიიტანა ბურგერსდორფზე, მაგრამ სასტიკი ბრძოლის შემდეგ უკუ ქცეულ იქმნა. ბურები ძალიან მხნედ მოქმედებენ და სხვა და სხვა ადგილებიდან ცნობები მოდის შეტაკებათა შესახებ.

(საღამოს დეპეშები იხ. მეოთხე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

※ ხმა არის, ვითომ გენერალ ნოქსს უარი უთქვამს დევეტის დევნაზე

※ ბურები რამდენსამე სხვა და სხვა ადგილას შეიჭრნენ კაპის ახალშენში. გერმანული გაზეთების ცნობით, ბურებს დაუმარცხებიათ ინგლისის გენერალი ბრაბანტსი მდინარე ორანჟის სამხრეთით; ბურების გენერალი გერცოგი გადავიდა კაპის ახალშენში გვენდაუსა და ბეტულიას შუა და, დასასრულ, ბურების რაზმმა ალიკალნორტის აღმოსავლეთით დაამარცხა გენერალ ბრაბანტსის ცხენოსანი ჯარი და კაპელი მსროლელების რაზმი.

ამ ბურების თვალსაჩინო გამარჯვებათა შესახებ «ნაციონალ ცაიტუნგი» შენიშნავს:

„ჩვე იმედი მაქვს, რომ ეს იქნება პირდაპირი შედეგი ყოველი თქვენი აღტაცებისა და მოწონების ხმისა, ამიტომ რომ, თუ ვინიცობაა თქვენი აღტაცებული ძახილი მხოლოდ შორეული ხმაურობის გამოძახილი და ბანი იქმნა, უფრო უარესად დამილონდება გული და მომემატება მწუხარება“.

კრიუგერის დაბრუნება საბჭოდან მთელი დღესასწაული იყო. ყვირილი არ შეწყვეტილა მთელი გზა. ქალები ყვავილებს ესროდენ, ასე რომ სასტუმროში რომ დაბრუნდა, ლანდო პირამდე სავსე ჰქონდა ყვავილებითა.

ნაშუადღევის სამს საათზე კრიუგერმა მიიღო სხვა და სხვა დელეგაციები. მათ შორის იყო დელეგაცია მწერლებისა, რომელთაც მოუძღოდა ცნობილი პუბლიცისტი და რედაქტორი გაზეთის „ინტრანსიჟანი“-ისა ანრი როშფორი. ამ დელეგაციას შეადგენდნენ: ფრ. კოპე, ჟულ ლემეტრი, მილვოა, პოლენ-მერი, პიერ რიშარ და აუარებელი ჟურნალისტები. როშფორმა კრიუგერს მიართვა ტყვედ წაყვანილ ბურთა გენერალ კრონიესთვის საპატიო ხმალი, ხელის მოწერით ნასყიდი და თან, სხვათა შორის, უთხრა: „ეს ხმალი, რომელსაც ვაბარებ თქვენს ვაჟკაცურს ხელებს, მარტო ძღვენი და სახსოვარი კი არ არის, არამედ სიმბოლოცაა“. კრიუგერმა მადლობა გადაუხადა და უპასუხა: დიდის მოწიწებით გადავსცემ კრონიეს სახლობას ამ საუცხოვო ხმალს, რომელიც არა მარტო სახსოვარია, არამედ წინდიცაა იმე-

ფელეტონი

პრეზიდენტი კრიუგერი საფრანგეთში

(კორესპონდენცია პარიზიდან).

(დასასრული *)

შერიუმ სიტყვა რომ გაათავა, წამოდგა კრიუგერი და გარკვევით და მკაფიოდ, თითქო ყოველ წინადადებას ცალკ-ცალკე ასხამსო, საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ჰოლანდიურს ენაზე, რომელიც ზედ-მიწევნით ხელოვნებით გადაუთარგმნა დამსწრეთ მისმა მინისტრმა დ—რმა ლეიდსმა. ამ სიტყვაში პირველად გამოსთქვა კრიუგერმა აზრი თავის მოგზაურობისა ევროპაში. აქ იმიტომ მოვსულვარ, რომ ბოლო მოვუღო ინგლის-ბურთა უთანხმოებასაო. ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა; ტაშის-კვრა დიდხანს არ შეწყვეტილა; ქალებმა ტირილი დაიწყეს; კრიუგერმა ჯერ მადლობა გადაუხადა მთელის საფრანგეთის ხალხს იმ გულწრფელ თანაგრძნობისათვის, რომელიც მას გაუცხადა. თქვენი პატივცემა ჩემთვის დაუვიწყარი იქნება, სანამ პირში სული მიდგასო. ბოლოს შემდეგი სთქვა სიტყვა-სიტყვით:

„ბატონო მთავარ-საბჭოს თავმჯდომარევ!

„ბატონო ქალაქის საბჭოს თავმჯდომარევ!

„ბურების ხალხი მებრძოლი ხალხია და არა ძლეული, ისეთი ხალხია, რომელიც წინააღმდეგობას უწევს ძალმომრეობას, და ეს წინააღმდეგობა არ შეწყვეტილა და დიდხანს კიდევ არ შესწყდება. უზომოდ გაიხარებს ეს ხალხი, რომ გაიგოს, თუ რა რიგ მოსწონს მისი ქცევა უზარმაზარ ქალაქს პარიზისას, რომელმაც მთელს ისტორიაში ისეთი დიდი ადგილი დაიჭირა თავისი ბრძოლით დამოუკიდებლობისა, თავისუფლებისა და სიმართლისათვის. მაგრამ, ვაგლახ! თქვენს ხმას მოწონებისას არ შეუძლიან მათ ყურებამდე მიაღწიოს, ამიტომ რომ მისმა მტერმა ყოველ მხრივ გზა შეუკრა. ერთ დღეს კი გაიგებს და, როცა თავისუფლებას დაიბრუნებს, თითონ, თავის პირით, ეტყვის ეს ხალხი პარიზს, თუ რამდენად მადლიერია თქვენი მოწონების ხმისა და ამ მოწონების ხმისაგან წარმომდგარ ზნეობრივის გამხნევებისა.

„მადლობას უხდი აგრეთვე ჟურნალ-გაზეთობას პატივცემისათვის; მე მგონია, ევროპის პატიოსანისა და მიუკერძოებლის პრესის წარმომადგენელთ რომ შეეძლოთ შუაგულ ტრანსვაალში ყოფნა, საფრანგეთსა და ევროპას გააცნობდნენ უფრო სამწუხარო და საშინელს ამბებს, ვიდრე ამ ჟამად მოდის იქიდან. მე ბარბაროსობის შესახებ ვილაპარაკე; შემიძლია დაგარწმუნოთ, კაცს რომ დანამდვილებით შეეძლოს იმის გაგება, რაც ტრანსვაალში ხდება, იტყოდა, შეუძლებელია ენით გამოითქვას ყოველი საშინელება და ტანჯვა, რომელიც ამ ქვეყანას წილად ხვდაო.

„ბურები დარწმუნებულნი არიან, რომ სიმართლე მათ მხარეს არის. კიდეც ამიტომ დაიწყო ომი ამ ხალხმა, კიდეც ამიტომ იბრძვის დღემდე და მანამდე არ დასდებს იარაღს, სანამ სამართალს არ მოიპოვებს.

„თქვენ კარგად გახსოვთ, რომ მტკიცე სამართალი ერთა შორის მოსაპოვებელია მხოლოდ მედიატორულის წესით. ამ სამედიატორო განაჩენს იმავთავითვე ვთხოულობდი და ჩემი თხოვნა მაშინათვე რომ დაეკმაყოფილებინათ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკები იმ დღეში არ იქნებოდნენ, რა დღეშიაც ამ ჟამად არიან. მე დარწმუნებული ვარ, ყველა სახელმწიფოთა ხალხის უმრავლესობას რომ შეეგნო სამედიატორო სამართლის მნიშვნელობა, მეტად ადვილი იქნებოდა ამ სამართლის გამოყენება.

„იმედი მაქვს პარიზის მაგალითი უმნიშვნელოდ არ ჩაივლის. მისი მზადება ჩემ დასახვედრად და ის პატივისცემა, რომელიც მე გამომიცხადეს, ხალხის უმრავლესობას სავსებით შეაგნებინებს პრინციპს სამედიატორო სამართლისას და ერთა შორის მშვიდობის დამყარების საქმეს უზრუნველ ჰყოფს.

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 1328.

«ბურების აღტაცებული მეკობრეები ამტკიცე-ბენ, რომ თუმცა კაპის მცხოვრებლ ბი არც ისე მზად არიან ასაჯანყებლად, როგორც ზოგიერთ ინგლისურ გაზეთებს ეშინოდათ, მაგრამ მაინც შეიძლება, რომ ამბოხება მთელს კაპის ახალ-შენის აქამდე მშვიდ მოსახლეობას. იმათ, ვისაც ახსოვთ კოლსბერგსთან და შტომბერხთან ბურე-ბის გამარჯვებანი, არა სწამთ ეს აზრი. კაპის ახალშენის მოსახლეობამ, არა გვგონია, გაბედოს ეხლა ის, რაც მაშინ, ამ ბრწყინვალე გამარჯვე-ბათა დროს, ვერ გაბედა.

მაინც და მაინც ინგლისელების მდგომარეობა სულაც არ გაუკეთესოვებულა, მეტადრე მას შე-მდეგ, რაც ბოტამ დაიჭირა ნატალის რკინის გზის და პრეტორიდან ნავთ სადგურ დელაგოას მიმავალ რკინის გზის 200 ვაგონი და 46 ლოკომოტივი. ლორდ კიტჩენერს თითქმის აღარ შეუძლიან სურსათი უზიდოს თავის ჯარებს; ამას გარდა კიტჩენერი ვეღარა სარგე-ბლობს ცხენოსანი ჯარით, რომელიც თავად უამისოდაც ცოტა ჰყავს. უმთავრესი მისი ჯა-რის ნაკლიც სწორედ ცხენების სიცოტავე არის. ინგლისის ჯარის სხვა-და-სხვა რაზმებს შუა კავში-რი სრულებით გაწყვეტილია. ის ამბავი, ვითომ ალფრედ მილნერმა მოლაპარაკება დაიწყო შუა-კაცების პირით შტეინთან და ბოტასთან—მოკ-ლებულია ყოველს საფუძველსაო»

※ კაპშტადტიდან ინგლისურს გაზეთებს დე-პეშა მოსვლიათ, რომ ბურებს კიდევ ერთჯერ მკაცრად და მარჯვედ უტკენიათ გული ინგლისელები-სათვის: ერთად-ერთი გამოცდილი ინგლისელი გე-ნერალი, მამაცი დამცველი მეფკინგისა, ბადენ-პაუელი ბურებს ტყვედ წაუყვანიათ. ამ დეპეშის თქმით, გენერალი ბადენ-პაუელი მიდიოდა კაპის ახალშენში თავის ნათესავებთან და ბურებს ტყვედ დაუჭერიათ.

※ ინგლისური გაზეთების სიტყვით, ლორდ კიტჩენერს უთხოვნია მთავრობისათვის 40 ათა-სი კაცის ახალის ჯარის გაგზავნა სამხრეთ-აფრიკაში. რაც ეხლა სამხრეთ აფრიკაში ინგ-ლისს ჯარი ჰყავს, მეტის-მეტად დაღალული და გაბეზრებულია დაუსრულებელი ბრძოლისა-გან. ყველა, უბრალო ჯარის კაცია თუ ოფი-ცერი, უგულოდ, ბეგრულად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას და ამით აიხსნება ბოლონდელი და-მარცხებანიო. ბურებს კი თან და თან უფრო ხალისი ემლევათ, თითქო ფრთები ესხმითო. კიტჩინერის აზრით, ჯერ სულაც საჭიროა, რომ ეს ჯარები მთლად გამოიცვალოსო და 40 ათა-სი ახალი ჯარის კაცი, ხომ უეჭველად საჭიროა, მით უმეტეს, რომ ეხლა კაპის ახალ-შენშიაც ბევრი ჯარი მოუნდება იქ შესეულ ბუ-რებთან და ადგილობრივ აჯანყებულებთან საბრ-ძოლველადo.

მთავრობას უარი შეუთვლია კიტჩენერისათ-ვის, რადგანაც ამოდენა ჯარის გაგზავნას დიდ-ძალი ფული დასჭირდებაო. ხმა არის, ვითომ კიტჩენერი გა. ადგება მთავარ-სარდლობიდან, თუ მთავრობამ იმის თხოვნა ვერ შეასრულაო.

※ გერმანიის გაზეთების სიტყვით, პრეზი-დენტმა კრიუგერმა გარდასწყვიტა, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე ხანი ჰოლანდიაში დარჩეს. კრიუგერი ლაპარაკის დროს ყოველთვის იმედს აცხადებს, რომ ბოლოს და ბოლოს ბურები უსა-თუოდ გაიმარჯვებენო. პრეზიდენტი, როგორც სჩანს, აღარ ჰფიქრობს ევროპაში მოგზაურო-ბას; რუსეთში წასვლაზედ ხომ ჩამი ჩუმიც არ ისმის.

※ გაზეთების ლაპარაკს გერმანიისა და სა-ფრანგეთის ქცევაზე ინგლის-ბურების საქმეში ბოლო აღარ აქვს: ერთი რიგი გაზეთებისა ყვე-ლაფერში გერმანიის მთავრობას ამტყუნებს, მან დაიღო სწორედ ბურების ცოდოო; მეორე რიგი ამართლებს ამ მთავრობის ქცევას და სამხრეთ-აფრიკის ომის ბრალს მთლად საფრანგეთსა სდებს.

«ნაციონალ ცაიტუნგი» ხელ მეორედ უბრუნ-დება ამ საგანს და ამტკიცებს, რომ 1897 წ., როცა იმპერატორმა ვილჰელმმა დეპეშა მისწერა ტრანსვაალის რესპუბლიკის პრეზიდენტს, სა-ფრანგეთმა მაშინვე წინადადება, მისცა ინგლისს, რომ შენი მოკავშირე ვიქნები, თუ გერმანიას-თან ომი მოგიხდაო. ეს წინადადება რასაკვირვე-ლია, მეტის მეტის სიფრთხილით იყო წარდგე-ნილი და არც გამართლებ-ულა, რადგანაც ინგ-ლისმა არ მოინდომა ფრანგების გულისათვის ელზასური ეკლის ამოგლეჯა გერმანიის ეკლნა-რიდან. მით მაინც ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ საფრანგეთის ელჩად ნამყოფმა ლონდონში ბა-რონ-დე-კურსელმა უთხრა ლორდ სოლსბერის: «გახსოვდეთ, მარკიზო, რომ საფრანგეთს მხო-ლოდ ერთი მტერი ჰყავსო»! გერმანიამ კარგად გაიგო ეს სიტყვები. დეკურსელის თქმა კი, რომ საფრანგეთის სადიპლომატიო არქივში არავითა-რი ამისთანა განცხადება არ არსებობსო, რასა-კვირველია, არც საკმაო და არც დასაჯერებელი არისო,—ასეათავებს გაზეთი თავის ბრალდებას.

※ ლონდონის გაზეთ «დაილი ტელეგრაფ»-ში დაბეჭდილი იყო ამას წინად კორრესპონდენცია, ბერლინიდან. კორრესპონდენციაში ნათქვამია ვითომც პრეზიდენტმა კრიუგერმა ბევრი ფული დახარჯა, გაზეთები და გავლენიანი პირები შეი-სყიდა გერმანიაში, რათა გერმანიის ერი ბურე-ბის მხარეს გადაებირებინაო. ამით აიხსნება ის ამბავი, რომ გერმანელები ასე აღტაცებით მიე-გებნენ კრიუგერს და ასე გულწრფელად თანაუ-გრძნობენ ბურებსაო. თავის წერილის ბოლოში კორრესპონდენტი ამბობს: კრიუგერი მალე დარ-წმუნდება, რომ იგი ევროპაში ვერას გახდება და რომ მან ტყუილ-უბრალოდ დახარჯა თავისი ფულებიო.

ბევრ გერმანულს გაზეთებს, რასაკვირველია, ძალიან ბრაზი მოუვიდათ ამაზედ. სხვათა შო-რის, აი რას ამბობს გაზეთი «ლეიპციგერ ცაი-ტუნგი».

«ეს უსინდისო წერილი ლონდონის გაზეთი-სა გერმანიის ხალხის გულწრფელს თანაგრძნო-ბას ბურებისადმი მხოლოდ ქრთამით ჰხსნის. ამის საზიზღარი ცილის წამების პასუხად, ჩვენ, ჩვენის მხრივ, გამოვაცხადებთ შემდეგს უტყუარ ფაქტს:

«დე ბირსის სამხრეთ აფრიკელმა კამპანიამ, რომლის მეთაური არის ცნობილი სესილ როდ-სი, გამოაცხადა 1899 წ. მეორე ნახევრის ანგარიში. ამ ანგარიშში სწერია:

«ცალკე თანხა საავიტაციო საქმეებისათვის: კელნი — 1.200,000 მარკა, ბერლინი — 7.800,000 მარკა».

ამისთანა დიდი თანხებით შესყიდულ იყვნენ მრავალი გავლენიანი პირები კელნში და ბერ-ლინში, რათა მათ ინგლისის მხარე დაეჭირათ წინააღმდეგ ბურებისა.

ამდენი ფული (600,000 მ.) დახარჯეს ინგლი-სელებმა და მაინც ვერას გახდნენ. თითქო მათ ჯიბრზედ კელნში გერმანელებმა შესანიშნავი დიდებული დახვედრა გაუმართეს კრიუგერს,—ასე რომ ინგლისელებმა თავიანთ ფული, მართლა რომ, წყალში გადაყარეს».

სხვა გერმანული გაზეთებიც ამოწმებენ, რომ დე ბერსის კამპანიამ ნამდვილად ბევრი ფული და-ხარჯა ბურების საწინააღმდეგო აგიტაციაზედაო.

※ ერთი დიპლომატი გაზ. «მატენ»-ში ასე ახასიათებს საფრანგეთისა და გერმანიის როლს ბურების საქმეში:

«როდესაც უნდათ, რომ დედას შეატყობინონ მისი შვილის უიმედო ავადმყოფობა, მას გაუგ-ზავნიან გულმტკივნეულ შემბრალებელს ადამ ანს», რომელმაც უნდა გული გაუმაგროს დედას, და ექიმს, რომელმაც უნდა გაუმჟღავნოს ნამდვილი სიმართლე. ბურების საქმეში საფრანგეთმა სწო-რედ ამ შემბრალებელი ადამიანის როლი შეას-რულა და გერმანიამ ექიმის როლი».

მტრის კარს ამისთანა ექიმია, ამბობს ერთი რუსული გაზეთი.

ახალი ამბავი

✦ ხვალ, 17 დეკემბერს, კავკასიის საა-ბრეშუმო სადგურის სადგომში მოხდება კა-ვკასიის მეაბრეშუმეთა და აბრეშუმის მრე-წველთა კრება, რომელზედაც შეუძლიანთ გარეშე პირნიც დაესწრნენ. კრება დაიწყე-ბა ნაშუადღევის 1 საათზე.

✦ დღეს, 16 დეკემბერს, საღამოს 8 სა-ათზე, ტფილისის ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება ქალაქის სასწავლე-ბელთა გამგე კომისიის სხდომა, რომელ-ზედაც განსახილველად დანიშნულია შემდე-გი საქმეები: 1) მოხსენება ტფილისის სახე-ლოსნო სასწავლებლის დირექტორისა სა-ერო განათლების მინისტრის მოწერილობის შესახებ, რომლითაც განკარგულება უნდა მოახდინონ, რომ სახელოსნო სასწავლებე-ლში მოსპობილ იქმნას სასწავლებლის კლა-სების დანაწილება ბავშვთა ეროვნებისა და მიხედვით; 2) მოხსენება ტფი-ლისში სამხატვრო საშუალო სასწავლებ-ლის დაარსების შესახებ; 3) მცირე კო-მისიის მოხსენება, თუ სად უკეთესი იქნება გამართულ იქნეს ქალაქის პუშკინის სახე-ლობის სახალხო უფასო სამკითხველო და სხვანი.

✦ ხუთშაბათს, 14 დეკემბერს, სხდომა ჰქონდა ქალაქის სკოლების გამგე კომისიას, რომელზედაც უნდა განეხილათ ის, თუ როგორ მოაწყონ ქალაქის პირველ დაწ-ყებით სკოლის მოსწავლეთათვის საშობაო ხე. კომისიამ დაადგინა მიენდოს თითოეუ-ლის სკოლის გამგეს მოაწყონ ცალკე სკო-ლისათვის მოსწავლეთა გასართობი,როგორც თვით უმჯობესად დაინახავენ. ამასთანავე კომისიის დადგენილებით ის 1500 მან., რო-მელიც ამ საქმისათვის იყო გადადებული, განაწილებული იქმნება ქალაქის 19 სკო-ლისათვის იმის და მიხედვით, თუ რომელს სკოლაში რამდენი მოსწავლეა.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბ-ჭო შუამდგომლობს მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე გამოფენის მომწყობ კომიტეტის დამტკიცების შესახებ.

✦ ქალაქის სკოლათა გამგე-კომისიამ 8 დეკემბრის სხდომაზედ ქალაქის გამგეობის წევრს თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვსა და საბჭოს მდივანს ბ-ნ ს. თ. ჰრელაშვილს მიანდო დაეთვალიერებინათ ქალაქის ყველა შენობები იმის გამოსარკვევად, თუ სად უფ-რო მოსახერხებელი იქმნებოდა ქალაქის უფასო სამკითხველოს გამართვა. თავ. არ-ღუთინსკისა და ბ-ნ ჰრელაშვილს ქალაქის არქიტექტორის ბ-ნ ახნაზაროვთან ერთად უკვე დაუთვალიერებიათ სამი სახლი და ხსე-ნებულ მიზნისათვის საუკეთესოდ უცვნიათ

დისაო; როშფორმა გადასცა აგრ თვე კალის მედალი, ჩამოსხმული წმ. ელენეს კუნძულზე მყოფ ფრანგ ტყვეების მიერ მათის კო ვზებისაგან. პრეზიდენტმა ამაზედაც დიდი მადლობა გადაუხადა.

ამავე დღეს უნდა წარსდგომოდა კრიუგერს დელეგაცია სტუდენტებისა ყველა უნივერ-სიტეტის სტუდენტებმა ამის ნახე არზე თა-ვადი მოიყარეს სორბონის წ ნ, წინ გაიძ-ღოლეს დიდი თაიგული ყვავილებისა და რიგზე დაწყობილებმა, ბურების პატარა ბა-ირაღებით მორთულებმა, გასწიეს კრიუგერის სასტუმროსაკენ. გზაში განუწყვეტლივ გაი-ძახოდნენ: „გაუმარჯოს კრიუგერს! გაუმარ-ჯოს ბურებს!“ მღეროდნენ „მარსელეზას“. სტუდენტებს თან აუარებელი ხალხი მისდევდა ფეხ და ფეხ. ფანჯრები დამშვენებული იყო ხალიჩებით და ბაირაღებით. ფანჯრებიდან და აივნებიდან მანიფესტანტებს ხალხი აღ-ტაცებით ტაშს უკრავდა, ცხვირსახოცს, ქუდებს უქნევდნენ, ქალები ხელით კოც-ნას უგზავნიდნენ. ასე მიუახლოვდნენ კრი-უგერის სასტუმროს. „სკრიბის“ სასტუმროს მახლობლად მოპირდაპირე სახლიდან ვიღა-მაც შავი ფული გადმოისროლა. სტუდენ-ტები შედგნენ, უნდოდათ შესაფერი პასუ-ხი გაეცათ შეურაცხმყოფელისათვის, მაგრამ სახლის კარები წამსვე მოიხურა, თან ამ-ხანაგები ჩაერივნენ საქმეში და დაამშვიდეს. კრიუგერის სასტუმროსთან ერთად შეგროვ-დნენ დადაიწყეს „გაუმარჯოს კრიუგერის“ ძახილი. თან თუთხმეტიოდე წარმომადგე-ნელი სტუდენტებისა მაღლა ავიდა კრიუ-გერის სავახავად. მხცოვანმა პრეზიდენტმა დიდის აღტაცებით მიიღო პარიზის ახალ-გაზდობის წარმომადგენელნი. ერთმა მათ-განმა უთხრა, სხვათა შორის, ბურები მარ-თალნი არიან და გინატრით, რომ გააგის კონფერენციის დადგენილების თანახმად გადასწყდეს სამხრეთ აფრიკის საქმეო.

პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა დე-ლეგაციის უფროსს და თავის თარჯიმანის პირით უთხრა:

„პრეზიდენტი სალამს აძლევს ახალ მო-ზარდ თაობას, რომლის წარმომადგენელიც თქვენა ხართ და რომელმაც უნდა შექმნას კანონი და სამართალი მომავალში. ის აქე-ზებს იმ აზრს, რომელიც თქვენ შეგიგნიათ და რომლის გამოსაცხადებლად თქვენ მას-თან მოსულხართ, ამიტომ რომ მხოლოდ სამედიატორო სამართალს შეუძლიან გაამარ-ჯვებინოს სიმართლის და მშვიდობის საქმეს.

„პრეზიდენტი დიდის სიმწარით იგონებს იმ დროს, როცა დაინახა, რომ თქვენმა მსგავსმა ახალგაზდებმა სწავლა შესწყვიტეს ოს იმის მაგივრად ხმლები იშიშვლეს; ბევ-რი მათგანი დღესაც ებრძვის მტერს, მაგ-რამ ბევრიც უკვე დაიხოცა და მხოლოდ მაშინ ჩამოვარდება მშვიდობა, როცა ამ დარჩენილებს შეეძლებათ ხმალი ქარქაშში ჩააგონ და თავიანთს წიგნებს დაუბრუნდ-ნენ“.

ამის თქმა იყო და, შეუწყვეტელი ტაშის კვრა გაიმართა. ამის შემდეგ მოსწავლე ახალგაზდობის წარმომადგენლებმა პრეზი-დენტს საუცხოვო კალათა გადასცეს ყვავი-ლებისა, რომელსაც ამშვენებდა ლენტი შემდეგის ვარაყიანის წარწერით ფრანგულად:

პრეზიდენტ კრიუგერს—სტუდენტები უფ-ლებისა და თავისუფლებისათვის.

ბოლოს სახელოვანი მოხუცი აივანზე გადმოდგა, რომ სჩვენებოდა ორ ათასზე მეტ სტუდენტებს, ერთად თავმოყრილს მისთვის სალამის მისაცემად. გამოჩნდა თუ არა, ერთხმად შესძახეს „გაუმარჯოს კრიუ-გერს“, გაუარჯოს ბურებს!“ „გაუმარჯოს სამედიატორო სამართალს“. მათს ძახილზე კრიუგერი გულაჩვილებული ქუდის ქნევით სალამს აძლევდა. დიდს ხანს გაგძელდა ეს ძახილი, ბოლოს „მარსელეზა“ შემოსძახეს და იმავე გზით, რომლითაც მოვიდნენ, უკან დაბრუნდნენ.

იმავ საღამოს კრიუგერმა და გარეშე საქ-მეთა მინისტრმა საფრანგეთისამ დელკასემ ერთმანერთს ვიზიტი გადაუხადეს.

28 ნოემბერს კრიუგერი წავიდა პარიზს ხელოვნების სკოლაში იმ ძეგლის სანახავად, რომელსაც უმზადებენ ბურების რაზმში მებრძოლეს და მოკლულს ფრანგების გე-ნერალს ვილბუ-მორელს. იქიდან წამო-ვიდა ფრანგების დიდებულ კაცთა სამარხის პანთეონის დასათვალიერებლად. ორგანვე ხალხი დიდის მაბით დაუხვდა.

მეორე დღე პრეზიდენტმა მოანდომა სხვა-და-სხვა დელეგატებისა და გავლენიან პირთა მიღებას. სხვათა შორის ეწვივნენ დეპუტა-ტები დენისის წინამძღოლობით, რომელმაც მოულოცა, რომ პალატამ ერთხმად დაადგი-ნა თანაგრძნობა გამოგიცხადონ და სამედია-ტორო სამართლის შესახებ შუამავლობა აღიძ-რასო.

30 ნოემბერს პრეზიდენტმა კრიუგერმა გამოსათხოვარი ვიზიტი გადაუხადა პრეზი-დენტს ლუბეს და დეპუტატთა პალატის თავ-მჯდომარეს. ხოლო 1 დეკემბრის ნაშუად-ღევზე ჩრდილოეთის სადგურიდან გერმანიი-საკენ გაემგზავრა. სასტუმროდან სადგურამ-დე მისი სიარული ტრიუმვსა და დიდების მგზავ-ობას წარმოადგენდა. აუარებელი ხალ-ხი მოაწყდა ჯერ სასტუმროს და მერე სად-გურს, რომ ერთხელ კიდევ დაეძახნათ „გაუ-მარჯოს კრიუგერს“, გზა დაელოცნათ მო-ხუცისათვის და ენატრათ, რომ ამნაირადვე სტუმართმოყვარულად და თანაგრძნობით დახ-ვედროდნენ სხვა სახელმწიფოებშიაც. სად-გურზე სტუდენტებიც მოვიდნენ გამოსათ-ხოვებლად და „მარსელეზისა“ და „კრიუ-გერს გაუმარჯოს“ ხმაზე მატარებელი დაიძ-რა და თან წაიყვანა გულაჩვილებული დი-დებული მოხუცი, დაიმედებული, იქნება ჩემ ბედკრულს ერს რამე ვუშველოვო.

ს—ა

პარიზი,
2 ქრისტიშობისთვეს.

ალექსანდრეს ბაღში აგებული სახლი. ქალაქის სკოლების გამგე-კომისია დღეს, 16 დეკემბერს, განიხილავს ამ პირთა მოხსენებას.

✦ ამ დღეებში მოხდა სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს ღარიბ ავადმყოფთა თავშესაფარის მოწყობა განსვენებულ ზუბალაშვილის მიერ შემოწირულ საშუალებით. კომისიამ დაათვალიერა ზუბალაშვილის სახლი ძველ არსენალის ქუჩაზე და, რადგანაც იგი გამოუსადეგარი გამოდგა ხსენებულ მიზნისათვის, დაადგინა დაინგრეს ეს შენობა და მის მაგიერ აშენდეს ახალი. განზრახული თავშესაფარი იქნება აშენებული 60 ავათმყოფთათვის, მაგრამ ისე კი, რომ საჭიროების მიხედვით შეიძლებოდეს მისი გადიდება.

✦ ქალაქის გამგეობა შუამდგომლობს, რათა მას ნება დაერთოს მიუზომოს თავისუფალი ადგილი ელექსანდრეს ბაღში ქ ნ ფრიცს პავილიონის ასაშენებლად. პავლიონში იქნება გამართული ვაჭრობა ჩაისა, ყავისა და მაგარ სასმელებისა. ქ-ნი ფრიცი თხოულობს ადგილს 10 წლის ვადით, რასაკვირველია, საიჯარადო გადასახადით.

✦ დღეს, 16 დეკემბერს, დილის 8 საათზე, რკინის გზათა მთავარი ინსპექტორი ბ-ნი გორჩაკოვი ბაქოსაკენ მიდის იქაურს რკინის გზის დასათვალიერებლად.

✦ რკინის გზათა მთავარი ინსპექტორი გორჩაკოვი 20 დეკემბერს პეტერბურგისკენ ემგზავრება

✦ მთავარ მართებლის ბძანებით, გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის თავს საბჭოში შეიტანოს მოხსენება იმის შესახებ, რომ საინჟენერო უწყებას მიეცეს იმ მიწის მაგიერი, რომელიც საინჟენერო უწყებამ იოანე ღვთის მეტყველის ეკლესიას დაუთმოვო.

✦ 11 დეკემბერს ოზურგეთის თვით-მმართველობის სახლში მოიყარეს თავი ხსენებულ ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა ქალაქის მოურავის ასარჩევად ნაცვლად თავ. ნ. თავდგირიძისა, რომელიც ქუთაისის გუბერნატორმა არ დაამტკიცა. 11 დეკემბერს კრებაზე ხმოსნებმა ერთ-ხმად ხელმეორედ თ. თავდგირიძე აირჩიეს.

✦ უწმ. სინოდი მომავალ წლისათვის თხოულობს $3^1/_2$ მილიონ მანეთს სახალხო განათლების საჭიროებისათვის.

✦ როგორც სჩანს საფილოქსერო კომიტეტის ანგარიშიდან, კავკასიაში ფილოქსერასთან ბრძოლა და ამერიკულ ვაზის მოშენება 1899 წ. დამჯდარა სულ 107,390 მან.; აქედან კომიტეტის მსახურთა ჯამაგირებია—53,374 მან., მათი წასვლა-წამოსვლაზე დახარჯულა 4,011 მან., წიგნების გამოცემა და საკანცელარიო ხარჯი 4,481 მან., ამერიკულ ვაზის გაშენება—35,849 მან., ლაბორატორიაზე—560 მან. და ექსპერტების საოპერაციო ხარჯი 9,107 მანეთი.

✦ ხვალ, 17 დეკემბერს, სახალხო კითხვათა სადგომში, ავჭალის ქუჩაზე, სახალხო წარმოდგენების ქართული სექცია გამართავს ლიტერატურულსა და მუსიკალურს დილას ხალხისათვის. დასაწყისი შუადღის 12 საათზე.

✦ ექიმი გაფრინდაშვილი დეპეშით, რომელიც დაბეჭდილია პეტერბურგის გაზეთებში, ულოცავს შორეულ აღმოსავლეთიდან მომავალ შობა-ახალ წლის დღესასწაულებს თავის მშობლებს, ნათესავებს და მეგობრებს.

✦ ოფიციალურის ცნობებით, ბაქოს გუბერნიაში 30 სოფელშია გავრცელებული საქონლის ჭირი.

✦ გზათა სამინისტრო იკვლევს ამ ჟამად საკითხს, თუ როგორი ზომები უნდა იქმნან მიღებული რკინის გზებზე მგზავრთა დაცვისათვის მცარცველ-ავაზაკებისაგან.

✦ ერთს ამერიკულს გაზეთში მოყვანილია საინტერესო სტატისტიკური მასალა მე-XIX საუკუნეში ვაჭრობა-მრეწველობის ზრდის შესახებ. ამ საუკუნის განმავლობაში მცხოვრებთა რიცხვი დედა-მიწაზე გაორკეცდა: საუკუნის დასაწყისში სულ მთელს ქვეყანაზე სცხოვრებდა 640 მილიონი სული, 1899 წლისთვის მცხოვრებთა რიცხვი ავიდა 1,400 მილიონამდე. იმავე ხნის განმავლობაში თითქმის გასამკეცდა სახნავ-სათესი მიწის რაოდენობა: საუკუნის დასაწყისში შემუშავებული იყო 360 მილ. აკრი მიწა, 1899 წლისთვის—860 მილ. აკრამდე. საქონლის გადაზიდვისთვის საუკუნის დასაწყისში სულ 4 მილიონი გემ-ხომალდი იყო, ეხლა კი 24 მილიონამდეა. რკინის გზები საუკუნის დასაწყისში სულ არ იყო, ეხლა კი რკინის გზების ლიანდაგს 442 ათასი მილი უჭირავს. ტელეგრაფებიც საუკუნის დასაწყისში არა ყოფილა, ეხლა ტელეგრაფის მავთულები გაბმულია 168 ათას მილზე. ბამბა საუკუნის დასაწყისში მოუყვანიათ 520 მილ. გირვანქა. 1898 წელს კი 5900 მილ. გირვანქა. ოქრო ამოუღიათ 1800 წელს 128 მილ. დოლარისა, 1898 წელს კი 1950 მილ. დოლარის. ყველაზედ უფრო გასაკვირველია რკინის და ქვა-ნახშირის მრეწველობის ზრდა. 1800 წელს რკინა ამოუღიათ 460 ათასი ტონნა, ქვა-ნახშირი—11,600 ტონნა; 1898 წელს კი რკინა ამოუღიათ 37,150 ტონ., ქვა-ნახშირი 610 ათასი ტონნა, ესე იგი რკინა ამოუღიათ საუკუნის დასასრულს 80-ჯერ მეტი და ქვა-ნახშირი 50-ჯერ მეტი, ვიდრე საუკუნის დასაწყისს.

✦ როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ქ-ბ. რობი უჩიოდა ოქრომჭედელ ფრიდმანს, რომ უკანასკნელმა მოატყუილა იგი და წმინდა ოქროს ქამრის მაგიერ სხვა ლითონ ნარევი ქამარი გაუკეთა. ეს საქმე უნდა გარჩეულიყო 14 დეკემბერს, მაგრამ რადგანაც ფრიდმანის ვექილმა განაცხადა, რომ ქ-ბ-ნმა რობიმ საჩივრის დაწყების ვადა გაუშვაო, მომრიგებელმა მოსამართლემ დაადგინა, მიწვეულ იქმნას მოწმეები იმის გამოსარკვევად, თუ როდის შეუკვეთა ქ-ნმა რობიმ ქამარი ხსენებულ ოქრომჭედელს და მართლა გაუშვა მან საჩივრის ვადა თუ არა.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ სადგურ ნავთლუღსა და ალტაგლიას შუა 14 დეკემბერს, ღამის 2 ს. და 28 წ., საქონლის მატარებელი № 174 დაეჯახა საქონლის მატარებელს № 165 იმიტომ, რომ ძლიერ სისწრაფით მოუახლოვდა სადგურს და არც ტორმუზები ჰქონდა მოჭერილი. დაზიანდა ხუთი დატვირთული ცისტერნი, ერთი მათგანი დაეცა მატარებელს № 174-ის ორთქლმავალს. ორთქლმავალი №№ 444 და 174 ცოტათი დაზიანდა. ხალხს არა შემთხვევია რა.

✦ 13 დეკემბერს პოლიციის მე ათე ნაწილში გამოცხადდა შტაბს-კაპიტანი საარტილერიო ბრიგადისა თავ. კონსტანტინე აბხაზი და განაცხადა, რომ ჩემი სახლიდან ვიღაც ბოროტ განმზრახველმა მომპარა სხვა-და-სხვა ნავთები ღირებული სულ 68 მანეთადო. ეჭვი ქურდობაში აფხაზს განუცხადებია თავის მსახურზედ.

✦ ხუთშაბათს, 14 დეკემბერს, პოლიციის მე 5 ნაწილში, გიორგის მოედანზე, ღამის $11^1/_2$ საათზე ნად.სოვ. სოფიო მარკარჩევის სახლში, № 34, მისულა ვიღაც ბოროტ განმზრახველი, რომელსაც ზარის ჩამოკვრით გამოუწვევია მოსამსახურე და გადაეცია მისთვის რაღაც სია, ვითომც შემოწირულებას ვკრეფებო. როდესაც მოსამსახურე შინ შებრუნებულა, უცნობს დრო მოუხელებია, ჩამოუღია იქვე დაკიდებული სხვა და სხვა ნივთები და გაქცეულა. ქურდის აღმოსაჩენად უკვე საჭირო ზომები იქმნა მიღებული.

✦ ხუთშაბათს, 14 დეკემბერს, მთაწმინდის ქუჩაზე ალექსანდრე ამირადოვის სახლს ბუხრიდან გაუჩნდა ცეცხლი. ცეცხლი შინაური საშუალებით ჩააქრეს. ზარალი არა მოსვლიათ რა

✦ პოლიციის მე 4 ნაწილში ლაბორატორნი ქუჩაზე, ლალაევის სახლებში მცხოვრებმა დ. ს. სოვეტ. ფონკეისენგოფმა განაცხადა, რომ ჩემს ბინიდან ვიღაც ბოროტ განმზრახველმა მომპარა ორი ხალიჩაო. პოლიცია გამოძიებას შეუდგა.

პრესსა

„ცნობილ“ გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკ“-ში ვკითხულობთ:

„როგორც ვიცით, სოხუმის ქალაქის თავად აირჩიეს ბ. სარაჯიშვილი, რომელიც წინადაც აირჩიეს ამავე თანამდებობაზე და გუბერნიის მთავრობამ არ დაამტკიცა. ეხლა ბ. სარაჯიშვილის არჩევის საქმე წარედგინა ქუთაისის გუბერნიის მმართველს. რადგანაც გარემოებანი, რომელთა მიხედვით ბ-ნი სარაჯიშვილი პირველად არ იქმნი დამტკიცებული, სრულებითაც არ შეცვლილან, ამიტომ მოსალოდნელია, რომ დამტკიცება ეხლაც არ მოჰხდება. განსაზღვრულ პარტიის ჯიუტობა ძალიან ადვილი გასაგებია, მაგრამ უადგილო კი არის“.

რა სახელი უნდა დაერქვას გაზეთს, რომელიც ამდენად შუბლ-გატეხილია! ნეტა როგორ მოიქცეოდნენ ამ „გაზეთის“ სულის ჩამდგმელნი, რომ, მართლა, მათ ხელ'ა იყოს ვისიმე დამტკიცება ან გადაყენება.

* * *

„ნოვ. ობოზრ“.-ს ქუთათური კორრესპონდენტი იწერება ერთი უცნაური ამბის შესახებ:

ამას წინად ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაირჩა საყურადღებო საქმე. ნაფიცმა ვექილმა კ—მ იკისრა დაგირავება სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკში ოზურგეთის ვაჭრების თუმანიშვილების მამულისა. რადგანაც სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკი არ იღებს გირაოდ მამულს, რომელიც თავადს ან აზნაურს არ ეკუთვნის, ამიტომ ნაფიცმა ვექილმა კ—მ დაავალა თუმანიშვილებს,—ფიქტიურად დაამტკიცონ საგირაო მამული ან მის, კ—ის, სახელზე, ან რომელიმე სხვა აზნაურისა. თუმანიშვილებმა აირჩიეს სოფ. შემომოქმედის მცხოვრები თავ. დ. გ., რომლის სახელზედაც აიღეს ნასყიდობის ქაღალდი. ეს ქაღალდი და ნდობის წერილი ჩაებარა ნაფიც ვექილს კ—ს სახელმწიფო ბანკში წარსადგენად. მაგრამ, რაღაც მიზეზებისა გამო, ბანკმა არ მიიღო გირაოდ ხსენებული მამული. ნასყიდობის ქაღალდს, როგორც ფიქტიურს, რასაკვირველია, ძალა და მნიშვნელობა არაფერი ჰქონდა; მიუხედავად ამისა, თავადმა გ—მ გამოაცხადა პრეტენზია თუმანიშვილების მამულზე და მიჰმართა თხოვნით მიწის-მზომელს, მიუმიჯნოს მას იგი თანახმად ნასყიდობის ქაღალდისა. ვაჭრებმა თუმანიშვილებმა საქმე სასამართლოში გადაიტანეს, რომელმაც ფიქტიურად იცნო ნასყიდობის ქაღალდი და გააუქმა თავად დ. გ—ის უფლება მამულზე.

მოჰყავს-რა კორრესპონდენტს ეს ამბავი, ბოლოს დასძენს:

სხვათა შორის ამ საქმეში საყურადღებოა ის გარემოება, რომ თუმანიშვილებს ცუდი საქმე ჩაადენინა არა რომელიმე ქუჩის „აბლაკატმა“, არამედ დიპლომით დაჯილდოვებულმა ნაფიცმა ვექილმა. რამდენადაც საქებურია ამ ვექილის მიერ ჩადენილი საქციელი და რამდენად ჩირქსა სცხებს მისი მოქმედება ნაფიც ვექილთა კორპორაციას—ეს საჭიროა მისმა ამხანაგებმა განსაჯონ.

რასაკვირველია, კ—ის მოქმედება ჩირქსა სცხებს ყველა ქუთათურ ადვოკატებს, მაგრამ საზოგადოებამ უნდა იცოდეს ვიზედ არის ლაპარაკი. ქუთაისში რამდენიმე ადვოკატია, რომელთა გვარიც КАН'-ზე იწყება (რუსულის მართლ-წერით) და კორრესპონდენტს არ უნდა მიემართნა ინიციალისათვის.

თეატრი

ქართული წარმოდგენა, 14 დეკემბერს დღევანდელი რე ენზია რეცენზიით არ დაიწყება. ერთმა საკვირველმა ჩვეულებამ გაიდგა ფესვები ჩვენ არტისტებ შორის: ბენეფისი მათ რაღაც თავისებურად, უკეთ რომ ვსთქვათ, ცალმხრივად ესმით. ბენეფისი ერთის მხრივ მატერიალური დაჯილდოვებაა დამსახურებულის არტისტისა, მეორეს მხრივ ბენეფისით არტისტს შემთხვევა ეძლევა სავსებით უჩვენოს მაყურებელ საზოგადოებას თავისი ნიჭი და უნარი; ამიტომაც არის, რომ ყველგან, გარდა ქართულის სცენისა, მობენეფისეები ისეთ პიესებს არჩევენ, სადაც მათ საუკეთესო როლები აქვთ. ქართველ არტისტებს სავსებით შეუგნიათ პირველი მხარე ბენეფისისა და რომ უფრო სავსებით მიაღწიონ თავიანთ მიზანს, გვერდს არ უხვევენ ისეთ გარემოებასაც კი, რომელიც მათ ნიჭსა და საქმის ცოდნას ჩრდილს აყენებს. რომ საჩუქრების მიტანა არა, 14 დეკემბრის წარმოდგენის დამსწრე ვერ მიხვდებოდა, ვისი ბენეფისი იყო. უმთავრეს პიესაში („ბრჭყალებში“) ბ-ნი გედევანოვი სრულებით არ იღებდა მონაწილეობას; მეორე პიესაში კი („დავით რაბინი“) თუმცა ერთი უმთავრესი როლთაგანი ჰქონდა, მაგრამ... ეს როლი რომ არ აერჩია უკეთესი იქნებოდა.

არ იქნა და ვერ მოვესწარით ისეთ დროს, რომ ქართულმა წარმოდგენამ ანსამბლით ჩაიაროს. მაგრამ სჯობს სათითაოდ შევეხოთ 14 დეკემბრის მოთამაშეებს. ბ-ნი ალექსი-მესხიშვილს მისი ნიჭის შეუფერებელი როლი ჰქონდა: ფერგანი—ცოცხალი მანქანაა, განხორციელებული ვიწრო ფორმულა, რომელსაც ადამიანობა მხოლოდ ერთხელ ბოლოს შეეტყო, როცა ის გაიგებს, რომ თავის შვილის მამა არ არის. მას ადამიანური გულის მოსვლა აღშფოთებაც კი არ შეუძლიან. მესხიშვილის ტემპერამენტი ასეთი არ არის და და ამიტომაც მის მიერ დახატული ფერგანი პოლ ერვიეს ფერგანი არ იყო: მესხიშვილის ფერგანი სრული ადამიანია, გულისთქმათა და გრძნობებით აღსავსე; ასე თავისებურად გაგებულის როლის აღსრულება მაყურებელში რაღაც გამოურკვევლობას იწვევდა: მას არ ესმოდა, თუ რისთვის სძულდა ირინეს ეგრე საშინლად თავისი ქმარი; გაუგებარი რჩებოდა ირინეს სიტყვები, ჩემი ქმარი განხორციელებული მანქანა არისო. ერთი თეატრის მოყვარე ქართველი მანდილოსანი მეუბნებოდა, როცა ერვიეს ტიპზე ვლაპარაკობდით: „რა ვქნა, ფერგანები მეზიზღებიან, მაგრამ მესხიშვილის ფერგანი კი მებრალებაო.

ამ შეუფერებელ შთაბეჭდილების გაძლიერებას ხელს უწყობდა ბ-ნი სვიმონიძის (მიხეილ დავერნიე) თამაში. ნაზი გრძნობის და აგებულების პატრონი დავერნიე, იდეალი ისეთის ქალისა, როგორიც ირინე იყო, სიმონიძის წარმოდგენით სრულებით არაფერს ჰგავდა. მის ადგილას ჩვენ არ ავიღებდით ასეთ სრულებით შეუფერებელ როლს.

ქ-ნ ჩხეიძეს წარმატება ეტყობა და, თუ სერიოზულ შრომას განაგრძობს, ქართველ არტისტ ქალთა შორის გამოჩენილ ადგილს დაიჭერს. მიმზიდველი გარეგნობა, მშვენიერი, მომხიბლველი ხმა და შეგნებული თამაში ქ. ჩხეიძისა მაყურებლის ყურადღებას უნებლიედ იზიდავდა 14 დეკემბრის წარმოდგენის დროს. ირინე თვით გრძნობიერებაა, იგი მთელი თავის ბედისაგან დაჩაგრულის არსებით მიისწრაფის მოლანდებულ ბედნიერებისაკენ, მაგრამ გულ ქვა კანონი, განხორციელებული მის ქმარში, მაგრად ხელს ჩასჭიდებს და ისევ დაჩაგრული რჩება. ქ-მა ჩხეიძემ თითქმის სწორედ გადმოგვცა უბედური ირინეს სულის-კვეთება; შთაბეჭდილება სრული იქნებოდა, რომ არტისტს მეტი ყურადღება მიექცია მიმიკისთვის: სახის გადამეტებული მანჭვა, თვალების მეტად ხშირი დახუჭვა ასუსტებდნენ შთაბეჭდილებას. ქ-ნ ჩხეიძეს კარგი მასწავლებელი ჰყავს ამ მხრით—ეს ბ. მესხიშვილია და იმედია, ამ ნაკლს მალე მოიშორებს თავიდან ახალგაზდა არტისტი, რომელიც თანდათან მეტს პატივსა და სიყვარულს იძენს საზოგადოებაში. ბ-ნ ავალიანი (ვალენტინი) და ქ-ნ ნებიერიძე (მართაში) მართლა შესაფერი ცოლქმრები იყვნენ: არც ერთი არ ვარგოდა და ორივემ ცუდათ ჩაატარეს თავიანთი როლები.

ერკმან შატრიანის პიესის „დავით რაბინის“ შინაარსი მოკლედ ეს არის; ახალგაზდა შეძლებული მემამულე ფრიცი (შათირიშვილი), კაცი პატიოსანი და გულკეთილი, მხიარულად ატარებს დროს თავის მეგობრებთან და არ ჰსურს ცოლშვილს მოეკიდოს, არა თუ არ ჰსურს, სასაცილოდაც კი მიაჩნია ოჯახური ცხოვრება. მას ჰყავს მეგობარი მოხუცი დავით რაბინი (გედევანოვი), ქველ-მოქმედი, ყველასათვის კეთილის მსურველი, მტერი ქარაფშუტა ცხოვრებისა; იგი სცდილობს ფრიცის რიგიან გზაზედ დაყენებას, უნდა მას ცოლი შერთოს, რადგან ეს მოვალეო-

ბაა ყოველი კაცისა, მოვალეობა წინაპართა და სამშობლოს წინაშე. ფრიცის მოურავს (გამყრელიძე) ჰყავს მშვენიერი ახალგაზდა ქალი სიუზელი (კარგარელი); რაბინის მეცადინეობისა და სიუზელის მიმზიდველობის მიზეზით ფრიცი ღალატობს წინანდელ თავის მიმართულებას და ცოლად ირთავს თავის მოურავის ქალს. პიესა დიდს არას წარმოადგენს ხელოვნების მხრივ და მით უმეტეს საჭიროა ცდა, რომ არტისტებმა რიგიანად შეასრულონ როლები; წინააღმდეგ შემთხვევაში ამისთანა ტენდენციურ პიესის წარმოდგენა ძილს მოჰგვრის მაყურებელ საზოგადოებას და დაგვეძინებოდა კიდეც 14 დეკემბერს, რომ შათირიშვილსა დ ქ-ნ კარგარელს ასე ცოცხლად და რიგიანად არ შეესრულებინათ თავიანთი როლები. ქ-ნ კარგარელი ნამდვილი სიუზელი იყო: მორცხვი, მოსიყვარულე და შეყვარებული, გულ უბრყვილო ახალგაზდა ქალი. შათირიშვილი პირველ მოქმედებაში კოჭლობდა, შემდეგ კი განსაკუთრებით უკანასკნელ მოქმედებაში მშვენივრად ეჭირა თავი; საუცხოვოდ ჩაატარა სცენა, სადაც ფრიცი ბატონი, უკვე შეყვარებული, გამოჰკითხავს სიუზელს მის გათხოვების ამბავს: სად არის ძველი გაბედულება, თავის-თავის იმედი, იგი ფრიცი მემამულე კი არ არის, იგი თვით სიუზელია, თავის მორცხობით და გაუბედაობით, ის სიუზელი, რომელმაც თვის ბატონს მის დაბადების დღეს თაიგული მიუტანა და არ იცის რა ჰქნას, როგორ დაჯდეს, ხელები სად წაიღოს, როგორ გამოიხედოს. შათირიშვილი მადლობის ღირსია იმ ნამდვილი ესტესტიურ სიამოვნებისათვის, რომელიც მან თავის თამაშობით გვაგრძნობინა.

მობენეფისემ მეტად გაამასხარავა დავით რაბინის არა სამასხარავო როლი. არც მიხვრა-მოხვრა, არც ლაპარაკის კილო გედევანოვისა არ იყო დავით რაბინის შესაფერი. საუკეთესო მონოლოგი, სადაც იგი უმტკიცებს ფრიცსა და მის ამხანაგებს ცოლქმრობის საჭიროებასა და მის აუცილებლობას, ისე თქვა მობენეფისემ, რომ არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

ძალიან კარგი იყო ქ. ჩერქეზიშვილისა ფრიცის გამდლის როლში. მოსიყვარულე, თავდადებული მოხუცი ქალი, რომელსაც ცხადად და სიზმარად პატარა ბავშვები ელანდებიან, სავსებით დაგვიხატა არტისტმა. არა უშავდა-რა გამყრელიძეს მოურავის როლში კანდელაკი და ავალიანი (ფრიცის მეგობრები) უფერულები იყვნენ.

დასასრულ, არ შეგვიძლიათ ერთი არ შევნიშნოთ წარმოდგენების მმართველთ: ყოვლად შეუძლებელია ასეთი გრძელი წარმოდგენები; მთელი ექვსი მოქმედების მოსმენა, თუმც საუცხოვოდაც თამაშობდნენ არტისტები, მეტად ჰღლავს საზოგადოებას

პროვინცია

ოზურგეთი. ყოველივე საქმეში, სადაც ადგილობრივ მცხოვრებს თავისუფალი მოქმედების უფლება ეძლევა, ოზურგეთლები, უმეტესად საშუალო წოდების ხალხი, დიდ სიმარჯვეს და გამჭრიახობას იჩენს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კოოპერატიული დაწესებულებანი თან და თან ვრცელდება აქ და, შედარებით სხვა ჩვენს სამშობლოს კუთხეებთან, კარგ ნიადაგზედაც არის დამყარებული; ასეთია — სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა «შუამავალი», რომლის მოქმედება ამ უკანასკნელ ხანებში თან და თან ფართოვდება და ხალხის უმრავლესობისათვის საგრძნობლად სასარგებლოდ ხდება. თუმცა ჩვენებური კრიტიკა — მიზეზ-მიზეზობა ყველა ახალ დაწესებულებას თან დსდევს, მაგრამ ეს ასეც უნდა იყოს: ამით საქმის გამგეები იძულებული არიან უფრო მხნედ და დაკვირვებულად მოეკიდონ საქმეს. მეორე შესამჩნევი ამხანაგობა, ოზურგეთლებისაგან დაარსებული, არის «თავისუფალ ეტლთა მსვლელობის ამხანაგობა»; ეს ამხანაგობა დაარსეს იმ აზრით, რომ მცხოვრებთათვის და ოზურგეთისკენ მომსვლელთათვის გაეადვილებინად და გაეიაფებინად მსვლელობა. 50 კაპ. ბილეთით შეიძლება მშვენიერი ეკიპაჟით 18 ვერსტის მანძილი გაიაროთ. ყოველ დღიურად ამ ამხანაგობას შემოსავალი აქვს 40—50 მ.ნეთი; შარშან თითო თუმანი დაურიგა ამ ამხანაგობამ თავიანთ წევრებს; პირველად საწევრო ფული დანიშნული იყო 20 მანეთი, ეხლა, ამ ჟამად, ოც მანეთიანი პაი 50 მანეთად ღირს, ისე კარგად წავიდა ამხანაგობის საქმეები. დღეს ამ ამხანაგობას 20 ათასი მანეთის საღირებელი უძრავი და მოძრავი ქონება აქვს. წელს ამ ნოემბრის დამდეგს ამხანაგობამ დიდათ სასარგებლო საქმე ჩაიგდო ხელში: ყოველ წლიურად სახელმწიფო ფოშტის ცხენების შესანახავად იძლევა 10 ათას მანეთამდე მარტო ოზურგეთის მაზრისათვის; დღემდი ეს ფულები მიდიოდა მალაკნების და უცხოელების ხელში; წელს კი გამგეობის მეცადინეობით და ორი სამი ადგილობრივი საქმეების თანამგრძნობლების დახმარებით ოზურგეთის ამხანაგობისთვის აიღო ტორგით ეს საქმე. ოზურგეთის ამხანაგობას შეუძლიან იმავე საშუალებით, რომელიც ეხლა ხელთ აქვს, დააკმაყოფილოს სახელმწიფო მოთხოვნილებაც და 6—7 ათასი მანეთი თავის სალაროში შეინახოს; მაგრამ ცოტა რომ მოუმატოს ეხლანდელ ქონებას, გააუმჯობესოს მისვლა-მოსვლის საშუალება — დიდ სარგებლობას მოუტანს ადგილობრივ მცხოვრებლებს. ასედაც მოიქცევა, უეჭველია, ეხლანდელი გამგეობა და წევრებიც. ოზურგეთლების მაგალითით სარგებლობენ სხვებიც; ნაგომრელები, ხიდისთაველები და ჩოხატაურელები, რომლებმაც ცალკე ამისთანა ამხანაგობები დააარსეს და საქმე გააჩაღეს.

თიანეთი. თვით თიანეთი მაინცა და მაინც არ წარმოადგენს დიდს სოფელს. გარშემო არტყია მშვენიერი მთები ტყეებით შემოსილი. თუმცა ამ ტყეებით სარგებლობს მხოლოდ თიანეთი და ორი სამი პატარა სოფელი, მაინც გარდა სახელმწიფოსი, კერძო პირების ტყეები უკვე გაუჩეხიათ. სრულიად არ ეტყობა, რომ მათ პატრონებს მოვლისათვის ეზრუნათ. ასეთია ჩვენებური მემამულეების საქმე. მთელი ერწოს ველის აქეთ-იქით მაღლობებიც ტყით ყოფილა შებურული, ახლა კი თუ გზაზე შეგხვდათ ტყე და იკითხეთ პატრონი — ხაზინისა გამოდგება.

თიანეთში ან მის ახლო სოფლებში ვერ შეხვდებით ვერც ბაღებს, ვერც ვენახებს და ვერც ბოსტნეულობას. მართალია, მაღლობი ადგილია მაგრამ არც ისეთი მაღლობია, რომ ზოგიერთმა ხეხილმა არ იხეიროს, ბოსტნეულობა არ მოვიდეს. მხოლოდ აქა-იქა მოჰყავთ კარტოფილი, ისიც ძალიან ცოტა.

რას აკეთებს მაშ აქაური გლეხი? ცოტაოდენი ცხვარი ჰყავს, ცოტაოდენი პური მოჰყავს; პურიც მოჰყავს თავის სამყოფი, რადგან ჯერ ეს ერთი, რომ ცოტა აქვს სახნავი და მეორეც ის, რომ მაინცა და მაინც არც ბაზარი აქვს ამისათვის. ცოტაოდენი ერბო და ყველი არის ამათი ხარჯის გამძღოლი. ერწოს ველში კიდევ გარდა ამისა, შინაურ ფრინველსაც ამრავლებენ, რადგან ტფილისზე უფრო ახლო არიან გარდა ამისა ესენი წახალისდნენ უფრო შემდეგ იმისა, რაც ტფილელმა ჩარჩებმა დაიწყეს აქ სიარული ფრინველის სასყიდლად. ხოლო თიანეთში, თიანეთის ახლო-მახლო სოფლებში ფრინველიც კი შედარებით ცოტაა.

უწინ, როგორც ყველა ჩვენ მოხევეებთა შორის, აქაც დედაკაცები ცხვრის ნაპარს (მატყლს) ართავდნენ და ნართისას ჰქსოვდნენ ქსოვილებს ოჯახის შესამოსად. ახლა სულ სხვა სურათია. ნაპარსი მცირე ფასად იყიდება მედუქნეებზე და ჩარჩებზე და სამაგიეროდ იმათგან ყიდულობენ დამპალ ჩით-ჩუთებს, რომელიც გაცილებით იმაზე მეტად უჯდებათ, ვიდრე აიღეს ფასი მატყლში. თუ ნაპარსი არა აქვს, შეშა მოაქვს ტყიდან და ჰყიდის გროშად, ოღონდ აიღოს რამე ან ნავთის სასყიდლად და ან ოჯახის შესამოსად. ამით აიხსნება სიმრავლე დუქნებისა თიანეთში, ერთის მხრივ, და სრული სიმშველე უმაწვილებისა და დედაკაცებისა, მეორის მხრივ.

ამგვარმა გარემოებამ გადააჩვია აქაური დედაკაცები იმ ერთად-ერთ საოჯახო მრეწველობას, რომელიც იყო გავრცელებული აქაც და ამნაირად შეაჩვია სიზანტეს, უქმად ყოფნას. ამ უსაქმობას მოჰყვა, სამწუხაროდ, ზნეობითაც დაქვეითება. ვინ მთის ქალი და ზნეობით დაცემა?!. მაგრამ ასე კი ყოფილა.

აქ იყო ტფილისის გუბერნიის ინჟინერი ბ. ბუტკევიჩი, რომელმაც განსაკუთრებით დაათვალიერა გზა, რომელსაც ხაზინა აკეთებს თიანეთიდან ახმეტამდე. ახმეტიდან უკვე არსებობს გზა-ტკეცილი თელავამდე ეს ახალი გზა გაზაფხულზე თუ დასრულდება. ახლა მხოლოდ ხიდებია აგებული.

ვაზიანი. ზაფხულშივე დაიწყეს კახეთის გზა-ტკეცილის გაკეთება ტფილისიდან. ახლა ვაზიანთან არიან, მაგრამ მთელი ოცდა ათი ვერსის მანძილზე, გზა-ტკეცილზე სიარულის ნებას არ აძლევენ და ეტლებით მოსიარულენი იძულებულნი არიან მინდვრებზე იარონ და ათას ხიფათს შეამთხვიონ მგზავრნი. როგორც ეტყობა, ამ გზის გაკეთება კარგა ხანს გაგრძელდება. ამისათვის კარგი იქმნება, თუ სათანადო მმართველობა დროებით გზას გააკეთებს, თორემ ავდარში სწორედ შეუძლებელია ამ გზაზე სიარული.

სალამოს დეპეშები

15 დეკემბერი

პეკინი. უტყუარ წყაროებიდან იუწყებიან, რომ ლიხუნჩანგმა და ცინმა ელჩების ნოტასთან ერთად გაუგზავნეს იმპერატორს თავისი მოხსენებაც, რომელშიც ურჩევენ სავსებით და დაუყოვნებლივ შეიწყნაროს უცხოელთა მოთხოვნანი თვით ამ რჩევის მიცემაც ჰნიშნავს, რომ ნოტა დაუყოვნებლივ მიღებულ იქმნება. როგორც ამბობენ, ლიხუნჩანგსა და ცინს გადაუწყვეტიათ სთხოვონ დახმარება უცხოელთ პეკინში სამოქალაქო წესრიგის აღდგენისათვის. ეს შუამდგომლობა წარედგინება ელჩებს, როდესაც იმპერატორი თანხმობას გამოაცხადებს ნოტაზე.

პარიზი. პალატამ განიხილა დამატებითი კრედიტი ჩინეთის ექსპედიციისათვის და გადადვა ამ მიზნისათვის 25 მილიონი ფრანკი.

ლონდონი. კიტჩენერის დეპეშა პრეტორიიდან: „გენერალი ნოქსი ებრძვის დევეტის ჯარებს, რომელნიც გამაგრებულნი არიან ლეუვკოპთან. დევეტს იმედი აქვს გააპოს ინგლისელთა ჯარი და წავიდეს სამხრეთისაკენ. ბურების აღმოსავლეთის რაზმი კაპის ახალშენში ალბათ ინგლისელებმა შეაჩერეს რეიტპორტსპრუტთან; დასავლეთის რაზმი, როგორც იტყობინებიან, გაიყო ორად და წავიდა ჩრდილოეთისაკენ: ერთი პრიესკისაკენ, მეორემ კი გაიარა სტრიდენბურგზედ; ინგლისელები მათ სდევნიან.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება პრეტორიიდან: „ბურებმა წუხელის იერიში მიიტანეს უტრეხტზედ, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ; მათ ორი კაცი დააკლდათ; ინგლისელებს ერთი კაცი დაუჭრეს. ბურებმა გააჩერეს მატარებელი პანთან, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ მოსული ჯარებით; მათ დაუჭრეს შვიდი კაცი და ერთი მოუკლეს. ინგლისელებს 1 მოუკლეს და 4 დაუჭრეს. ბურების აღმოსავლეთის რაზმი კაპის ახალშენში გუშინ დაამარცხეს და განდევნეს ვენტერდსტისაკენ; დასავლეთის რაზმი კი უკანვე დააბრუნეს ჩრდილოეთით“.

ლონდონი. იტყობინებიან, რომ იომანრები, რომელნიც ტყვედ იქმნენ წაყვანილნი პრიესკთან, ბურებმა განთავისუფლეს, მის შემდეგ როდესაც წაართვეს ცხენები, უნაგირები და იარაღი. ბურები ძალიან დაზარალდნენ; მათ დაუჭრეს 10 კაცი, მათ შორის 1 პოლკოვნიკი.

ტიანძინი. 1100 ინგლისელი ჯარის-კაცი ორის ზარბაზნით გენერალი კლემენსის წინამძღოლობით წავიდა იანტუანისაკენ დიდ მუშტის ბრბოს გასაფანტავად და რკინის გზის ლიანდაგის დასაცველად. ეს იგივე ბრბოა, რომელიც ფრანგებმა დაამარცხეს ხენაუსთან; ტიანძინსა და ტაკუს შუა ერთი მდინარის ნაპირზე მოკავშირეთა ჯარები მოქმედებენ მოკრიეთა და სხვა-და-სხვა ავაზაკთა წინააღ დეგ.

პარიზი. პოლკოვნიკმა პ კარმა მიჰმართა ვალდეკ-რუსსოს წერილით, რომელშიაც პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ ისიც არის ჩარიცხული ამნისტიის სიაში ის უარს ამბობს პატიებაზე, რადგანაც არა ჰსურს, რომ მისი სახელი აღდგენილ იყოს ამნისტიით.

პეკინი. ხვალ პეკინიდან მიდის ამერიკის ჯარი იმ ჩინელთა დასასჯელად, რომელთაც დასწვეს ჩინელი ქრისტიანები.

პეკინი. ცინმა და ლიხუნჩანგმა მიიღეს ცნობა იმპერატორისაგან. ცინმა ინახულა ლიხუნჩანგი. იმპერატორის სახლობა წინააღუდგა სიმაგრეების დანგრევას და აგრეთვე პეკინში მუდმივი ჯარების დაყენებას მისსიების დასაცველად. იმპერატორი ჰფიქრობს, რომ ამეებს ელჩები იმიტომ თხოულობენ, რომ ნიადაგ შიშქვეშ იყოლიონ იმპერატორის სახლი. თათბირის შემდეგ ცინმა და ლიხუნჩანგმა გადასწყვიტეს კიდე მიჰმართონ იმპერატორს, სანამ ელჩებს შეჰხვდებოდნენ.

რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, 1900 წლის 16 დეკემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით ლისოგორის ვიწრო ქუჩის მოკირწყლა, სიგრძით 96,21 საჟენი, 854 მანეთის ღირებულებისა.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(ნ. 3—3)

Открыта подписка на 1901 годъ.
ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ
(26-й годъ изданія).

„Тифлисскій Листокъ“ и въ 1901 году будетъ выходить ежедневно по прежней программѣ газеты литературной, общественной и политической.

Будетъ обращено особое вниманіе на развитіе отдѣла корреспонденцій изъ разныхъ мѣстъ Закавказья.

Въ теченіе года подписчики получатъ не менѣе 12-ти литературныхъ приложеній, въ которыхъ будутъ помѣщаться статьи по кавказовѣдѣнію, повѣсти, разказы, стихотворенія и пр.

Время отъ времени приложенія будутъ иллюстрироваться портретами и рисунками.

По понедѣльникамъ подписчикамъ будутъ разсылаться телеграммы.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Въ Тифлисѣ: на годъ—5 руб., на 6 мѣс.—3 р., на 3 мѣс.—1 р. 75 к. и на 1 мѣс.—75 к.
Для иногородныхъ: на годъ—7 руб., на полгода—4 руб., на 3 мѣсяца—2 руб. 50 коп. и на 1 мѣс.—1 руб.

На всѣ указанные сроки подписка принимается съ перваго числа каждаго мѣсяца.

Разсрочка и подписка на другіе сроки не допускается.

Посписка принимается **исключительно** въ конторѣ изданія:
Тифлисъ, Головинскій, № 3.

(მ. 3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Декабря 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ხა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.